ჩემპიონატი

დამსახურებული გამარჯვება

ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონის საფეხბურთო მოედანზე თერთმეტი რჩეული წითელხალათიანი ვაჟკაცის გამოჩენას 40.000–ზე მეტი მაყურებელი ერთსულოვანი ტაშით შეეგება. ეს ტაში კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც მათ ყვავილების ვეებერთლა თაიგულები მიუძღვნეს საზოგადოება "დინამოსა" და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებმა.

ტაიმის პირველსავე წუთებიდან ნათელი გახდა რომ **ცდკა–ს** სახით 18 ნოემბერს **თბილისის "დინამოს"** დაუპირისპირდა ფეხბურთლთა ისეთ კოლექტივი, რომელიც თამაშის მაღალი კლასით, დახვეწილი სტილით, კარში ძლიერი დარტყმითა და იშვიათი გამძლეობით შეიძლება ჩითვალოს ჩვენი ქვეყნის ერთ–ერთი უძლიერეს გუნდად.

მაყურებელთა ყურადღებას იპყრობს ცდკა–ს თავდამსხმელთა ხუთეულის ლამაზი კომბინაციური თამაში და მწყობრი იერიშები. ცნობილი ფეხბურთელების – ფედოტოვისა და კაპელკინის მეთაურობით ისინი ტანკებივით მიარღვევენ "დინამოს" საჯარიმო მოედანს. აი, ხელსაყრელი მომენტიც: თბილისელები დაჯარიმდნენ კუთხური გარტყმით ("კორნერი") – და... შჩერბატენკომ თავური გარტყმით პირველი ბურთი მოაქცია თბილისელთა კარში.

თამაში კვლავ ცენტრიდან იწყება. დინამოელების თავდამსხმელებში პირველმა მარცხმა მოგების მეტი მონდომება გამოიწვია. განსაკუთრებული ენერგიულობით იბრძვის თავდამსხმელთა ხუთეულის ლიდერი ბ. პაიჭაძე. მე–6 წუთზე ის მარჯვენა ფრთიდან მიღებული ბურთით უსხლტება ორ მოწინააღდეგეს და შორი მანძილიდან იშვიათი სიძლიერითა და სნაიპერული სიზუსტით აგზავნის მოწინააღმდეგეთა კარისაკენ. მეკარე ლეონოვი ამაოდ შეეცადა "მკვდარი" ბურთის აღებას. ანგარში გათანაბრდა 1:1.

ინიციატივა მოსკოველთა მხარეზე გადადის. ცდკა–ს თავდამსხმელთა იერიშს იერიშები ემატება. მათ მოძებნეს "დინამოს" დამცველთა სუსტი ადგილი – მარჯვენა ფრთა, რაც გამოწვეული იყო მცველი შავგულიძის ავადმყოფობით. შესანიშნავად თამაშობს ფროლოვი. მან ჩაკეტა ცდკა–ს თავდამსხმელთა ცენტრი – ფედოტოვი, სამაგიეროდ ღიად დარჩნენ კაპელკინი და შჩერბატენკო, რომლებმაც დამატებით გაიტანეს 3 ბურთი.

მოულოდნელი დამარცხება განიცადეს თამაშის პირველ ნახევარში დინამოელებმა – წააგეს ტაიმი ანგარიშით – 1:4.

თბილისის "დინამოს" დამარცხება უდაო გახდა. მეტად საეჭვო იყო ასეთი მატჩის თუნდაც ყაიმით დამთვრება, მაგრამ მეორე ტაიმში გასაოცარი სურათი გადაიშლა მაყურებელთა წინაშე. ნაცვლად დაბნეულობისა, დინამოელებმა არაჩვეულებრივი ორგანიზებულობა, ტაქტიკურად გამართლებული და თავბრუდამხვევი ტემპიანი თამაში გამომაჟღავნეს. შუამარბმა პაიჭაძემ შეცვალა თავისი როლი. იგი მეტწილად ხან მარცხენა ხან მარჯვენა ფრთიდან უტევს მოწინააღმდეგეს. თავიანთი ადგილები შიცვალეს აგრეთვე ხარბედიამ და ჯეჯელავამ, ხოლო ბერნიშვილმა და გაგუამ უფრო განამტკიცეს თვდამსხმელთა რიგები, იერიშები.

მიუხედავად იმისა, რო ფედოტოვი და კაპელკინი გადავიდნენ დაცვაზე, ამან მაინც ვერ გამოასწორა მოსკოველთა მდგომარეობა და ცდკა–ს დამცველთა რიგებში შეიქმნა არევდარევა, ნერვიულობა, რომელსაც თან უხეშობაც დაემატა. მაგალითად ტაიმის მე–3 წუთზე გარღვევაზე გასულ ხარბედიას საჯარიმო მოედანზე სარმით უმასპინძლდებიან. მსაჯ ონიშენკოს (ხარკოვი) მიერ დანიშნულ პენალტს ჩვეულებრივი ოსტატობით იყენებს მ. ბერძენიშვილი. მოტყუვდა მეკარე ლეონოვი. ბურთის მოგერიების მიზნით ის სხარტ ნახტომს აკეთებს კარის მარცხენა ფრთისაკენ, ხოლო ბურთი ბადეში ეხვევა კარის მარჯვენა კუთხისაკენ.

დინამოელებს ენერგია შეემატათ,. მე–15 წუთზე პაიჭაძე უსხლტება სამ მოწინააღმდეგეს და ბურთს აწვდის ღიად დატოვებულ ჯეჯელავას. ამ უკანასკნელის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი, რომელიც ერთ–ერთ დამცველს ხვდება და უკანვე ბრუნდება მოხერხებულად გააქვს ხარბედიას ცდკა–ს კარში. რადენიმე წუთის შემდეგ კვლავ ხარბედიას შუტით მე–4 ბუთი ეხვევა მოსკოველთა ბადეში. თანაბრდება ანგარიში – 4:4.

ბრძოლა გადამწყვეტი მე–5 ბურთისათვის, განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა. თამაშის დამთვრებამდის სამი წუთით ადრე მოსკოველთა კარის წინ შექმნილი კრიტიკული მომენტით ისარგებლა ჯეჯელავამ და დამსახურებული გამარჯვება მოუპოვა თავის გუნდს.

ცდკა–ს მოთამაშეები მთელ ძალღონეს იკრეფენ, რათა ფრედ მაინც დაამთვრონ მატჩი, მაგრამ უშდეგოდ. ფროლოვმა, დოროხოვმა, ბერძენიშვილმა, გაგუამ, კიკნაძემ და მეორე ტაიმში შავგულიძის შემცვლელმა მინჯიამ შეკრეს თვიანთი გუნდის კარი.

მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონის ეს ყველაზე საინტერესო მატჩი დამთავრდა "დინამოს" სასახელო გამარჯვებით ანგარიშით – 5:4, რომელსაც პიარველი ტაიმის დამთვრების შემდეგ არავინ მოელოდა.

ვ. გაბელია.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 20 ნოემბერი, 1939 წ.